ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი #2

ქ. ონი 19. 02. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე სერგო ლობჯანიძე.

სხდომას 12 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: სერგო ლობჯანიძე, ვასილ მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, გივი მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, რევაზ საბანაძე, შალვა კახეთელიძე, შუქურა ჯაფარიძე, ლევან ორდინიძე.

არ ესწრებოდნენ : თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, ნოდარ ბურდილაძე.

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

2.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

ს. ლობჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ და აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როცა პროექტები, რომელთა დაფინანსებაც უნდა ხდებოდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ფინანსდება სარეზერვო ფონდის ხარჯზე, რაც არამართებულია, უმჯობესია ასეთი პროექტების განხორციელებისთვის თანხა თავიდანვე იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. სერგო ლობჯანიძე- კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სერგო ლობჯანიძე

კომისიის თავმჯდომარე